შპს ახალი სკოლა
ს/კ 202903750
თბილისი, 0162, წყნეთის გზატკეცილი #35
ტელ: (+995 32) 2 23 17 28
www.newschoolgeorgia.com

New School Ltd
ID 202903750
35 Tskneti Highway, 0162, Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 32 23 17 28
www.newschoolgeorgia.com

15.09.2023

№ 3/671

ვის: ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური უფროსს

ვისგან: ირაკლი თოფურია
შპს ახალი სკოლის (202903750) დირექტორი
თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, #35
ტელ.: 599560445

საკითხი: მშენებლობის ნებართვის გაცემის შეჩერება, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა

თარიღი: 15 სექტემბერი, 2023 წელი

ბატონო თემურ,

გაცნობებთ, რომ შპს ახალი სკოლა არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და იგი მდებარეობს ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი #35-ში. სკოლაში სწავლობს ასეულობით მოსწავლე როგორც სკოლამდელ პროგრამებზე, ასევე დაწყებით და საშუალო საფეხურზე. სკოლას აქვს ერთადერთი მისასვლელი - წყნეთის გზატკეცილიდან ჩამომავალი ჩიხი, რომლითაც სარგებლობს სკოლის ტრანსპორტი, მოსწავლეები, მშობლები, სკოლის თანამშრომლები, ასევე სახანძრო და სპეც. დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებები. აღნიშნული ჩიხით ასევე სარგებლობს რამდენიმე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

გატყობინებთ რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს თბილისი, წყნეთის გზატკეცილი 37ა, საკადასტრო კოდი: 01.14.06.007.020. აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ხევში, მდინარე ვერეს კალაპოტში და აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია მე-4 კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

მიწის ნაკვეთის ერთადერთი მისასვლელი არის წყნეთის გზატკეცილიდან ჩამავალი ჩიხი, რომლითაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, სარგებლობს სკოლა და რამდენიმე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და მისი გამტარუნარიანობა

შპს ახალი სკოლა
ს/კ 202903750
თბილისი, 0162, წყნეთის გზატკეცილი #35
ტელ: (+995 32) 2 23 17 28
www.newschoolgeorgia.com

New School Ltd
ID 202903750
35 Tskneti Highway, 0162, Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 32 23 17 28
www.newschoolgeorgia.com

არის ძალიან შეზღუდული. აღნიშნული ჩიხი იმდენად ვიწროა, რომ ტროტუარიც კი არ გააჩნია. დღის ნებისმიერ მონაკვეთში გადაადგილება არის ძალიან გართულებული და მიმდებარე განაშენიანების გათვალისწინებით, მისი გამტარუნარიანობის გაზრდა შეუძლებელია. აღნიშნული გზის დამატებითი დატვირთვა გამოიწვევს სატრანსპორტო კოლაფსს და, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული გზით მოსარგებლე ობიექტებთან ვეღარ მივა სასწრაფო, სახანძრო, სამაშველო და სხვა სპეციალური დანიშნულების ტრანსპორტი.

გარდა სატრანსპორტო პრობლემებისა, თქვენთვის ცნობილია რომ კლიმატური ცვლილებებიდან გამომდინარე მდინარეებზე გახშირდა მეწყრული პროცესები და წყალმოვარდნა, მდინარე ვერეც არ გახლავთ ამ მხრივ გამონაკლისი. რამდენიმე წლის წინ უსაფრთხოდ მიჩნეული ზონები, უკვე მომეტებული საფრთხის მატარებელია, შესაბამისად მდინარეების კალაპოტებში მიმდინარე მშენებლობები განსაკუთრებულად საფრთხილოა.

სკოლის მიმდებარედ ბუნებაში მსგავსი ჩარევა კი განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რამდენადაც სკოლა, სადაც კონცენტრირებულია ასეულობით მოსწავლე და მასწავლებელი, ისედაც მომეტებული საფრთხის მატარებელი ობიექტია და მას განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება.

ჩვენი მოსწავლეებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა არის სკოლის პრიორიტეტი და, დარწმუნებული ვარ, აღნიშნული ასევე ქალაქის პრიორიტეტიც გახლავთ. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა საკუთარი ძალებით დაუკავშირდა საექსპერტო ორგანიზაციებს და მიმდინარეობს კვლევა, რა უარყოფით გავლენას მოახდენს აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი მშენებლობა სკოლაზე, შეუქმნის თუ არა საფრთხეს მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებულ პირთა ჯანმრთელობას და ა.შ.

შესაბამისად გთხოვთ, ჩაგვრთოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში და ჩვენი პოზიციის მოსმენის გარეშე არ მიიღოთ გადაწყვეტილება #01.14.06.007.020 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე. ასევე გთხოვთ, არ გასცეთ ნებართვა მანამ, სანამ ჩვენს მიერ დაქირავებული საექსპერტო დაწესებულებების მიერ არ დასრულდება კვლევის პროცესი და არ მომზადდება შესაბამისი დასკვნა.

პატივისცემით,

ირაკლი თოფურია